

“რადიო თავისუფლების” შეკითხვები #1

მოგესალმებით, “რადიო თავისუფლება” ამზადებს მასალას საქართველოში ქათმის ხორცის და კვერცხის წარმოებაში, გამაყვითლებელი პიგმენტების, კაროტინოიდების გამოყენების შესახებ.

1. თქვენი კომპანიის დამზადებულ ფრინველის კომბინირებულ საკვებსა და კონცენტრატში, არის თუ არა გამოყენებული გამაყვითლებელი პიგმენტები (კაროტინოიდები).
2. რას იყენებთ ბუნებრივს, თუ სინთეზურ გამაყვითლებლებს?
3. ზუსტად რომელ გამაყვითლებლებს იყენებთ ბროილერის და მკვერცხული ქათმის მზა საკვებსა და კონცენტრატში და რა დოზებით?
(გთხოვთ მოგვანოდოთ თქვენი კომპანიის მიერ გამოყენებული გამაყვითლებლების მახასიათებლები: საბაზრო დასახელება, სრული ქიმიური შემადგენლობა და მწარმოებლის რეკომენდაცია დოზების შესახებ, როგორც ბროილერის ასევე მეკვერცხული ქათმის საკვებში)
4. თქვენი პროდუქციის შეფუთვაზე, ეტიკეტზე, გაქვთ თუ არა მითითებული ინფორმაცია გამოყენებული გამაყვითლებლების სახეობის და რაოდენობის შესახებ, თუ კი, გთხოვთ მოგვანოდოთ ეტიკეტის ნიმუში.

წინასწარ გიხდით მადლობას

გიორგი მგელაძე,

“რადიო თავისუფლების” ჟურნალისტი

“ინვეტის” პასუხი #1

1. დიახ, ვიყენებთ.
2. ვიყენებთ ორგანულ (ბუნებრივ) გამაყვითლებელ საშუალებებს.
3. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, თუმცა შეგვიძლია ზოგადად დავადასტუროთ ის ფაქტი, რომ ეს პროდუქტი აკმაყოფილებს როგორც ქართულ, ისე ევროპულ სტანდარტებს.
4. რაოდენობაზე ზემოთაც მოგახსენეთ, ეს არის კონფიდენციალური. იმ სახეობის პროდუქტების ეტიკეტზე, რომელშიც ვიყენებთ საღებავებს, ეს ინფორმაცია არის დატანილი, როგორც ეტიკეტზე, ასევე დასახელებაში.

აქვე გიგზავნით ერთ-ერთი ეტიკეტის ნიმუშს:



მზა საკვები ბროილერის გრძელვადიანი გრანული ასაკი 15 - 26 დღე

პროდუქტის აღწერა და გამოყენების წესი: კომბინირებული, დაბალანსებული საკვები განკუთვნილია 15-დან 26 დღის ჩათვლით ბროილერებისთვის, დროის ამ პერიოდში მოხმარების ნორმა 1300 გრ/ფრთხი. ფრინველს საკვები მძლავრ მზალი სახით, შეუზღუდავად, დანამატების გარეშე, სასმელ წყალთან ერთად.

ენერგია კკალ/100გ	310 – 315	მეთიონინი %	0.56
ნაღლი პროტეინი %	20.5 – 21.8	P %	0.4 – 0.9
ნაღლი უბრუნა %	2.5 – 3	Ca %	0.7 – 0.9
ნაღლი ცხიმო %	4 – 4.5	Na %	0.16 – 0.23
ლიზინი %	1.2	ტენინობა %	11.5 – 12.5

გამოყენებული ინგრედიენტები: სიმინდი, სიმინდის შრები, ხორბალი, ცხიმოვანი წარმოშობის ნაღლი, მცენარეული ზეთი, მინერალები, ვიტამინები, ამინომჟავები, ტოქსინების საწინააღმდეგო საშუალება, ფერმენტები, საღებავი.

შენახვის წესი: შეინახეთ მზალი, გრილ, მზისგან დაცულ ადგილზე.

შენახვის ვადა: პროდუქტის წარმოებიდან 120 დღე.

პროდუქტის ფორმა: გრანული.

შეფუთვის ფორმა: პოლიპროპილენის ტრამპი ტომარა.

მისამართი: მცხეთა, ნარკავაძე, 3300.

ტელეფონი: (+995) 032 225 19 66 ; (+995) 574 25 19 66 ;

(+995) 598 25 19 66 .

feed@invet.ge www.invet.ge

საიდენტიფიკაციო კოდი: 402014538

ბიზნესრეგისტრაციის აღიარების ნომერი: GE 08.10.91.0.0041

25კგ

გამოშვების თარიღი

64101

“რადიო თავისუფლების” შეკითხვები #2

ბატონო მათე, გნერტ დაზუსტებისთვის.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 473-ე დადგენილების მიხედვით, ეტიკეტზე უნდა იყოს მითითებული დანამატის სპეციფიკური დასახელება და მასში შემავალი აქტიური ნივთიერების მოცულობა. გამომდინარე აქედან (სურსათის ეროვნული სააგენტოც ასე განმარტავს) გამოყენებული პიგმენტის სახეობა და დოზა არ შეიძლება მიჩნეული იყოს ბიზნეს რეგისტრაციის კონფიდენციალურ ინფორმაციად.

გამომდინარე აქედან, გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მომანოდოთ დაზუსტებული სახით.

პატივისცემით, გიორგი მგელაძე

"რადიო თავისუფლების" ჟურნალისტი

ინვეტის პასუხი #2

პიგმენტებს, კაროტინოიდებს ვიყენებთ როგორც ბროილერის საკვებში, ასევე მეკვერცხულის საკვებში.

ბროილერში გამოყენების მიზანია რომ ბროილერის კანის გაყვითლება მოხდეს, ხოლო

მეკვერცხულისაში დანიშნულებაა რომ კვერცხის გულის გაყვითლება მოხდეს. შესაბამისად ორივე საკვებში ვიყენებთ პიგმენტებს, ანუ გამაყვითლებლებს, კაროტინოიდებს. ბროილერის საკვებში ვიყენებთ ორგანულ, ანუ ბუნებრივ გამაყვითლებლებს. ეს არის ეტიკეტირება სადაც წერია დოზაც და შემადგენლობაც. 1 ტონა მზა საკვებში ვიყენებთ 2 კგ ს.

რაც შეეხება მეკვერცხულ ქათმის საკვებს, აქ ვიყენებთ სინთეზურ გამაყვითლებლებს, ანუ არაორგანულს. გვაქვს გერმანული და გვაქვს ფრანგული წარმოშობის. ესენი მეკვერცხულის საკვებში ერევა ძალიან მცირე რაოდენობით და მიკროდოზირებები სჭირდება. ამას ვიყენებთ 20 გრამს ტონაზე. გაცილებით მეტი ეფექტი აქვს ვიდრე ორგანულებს და ამიტომ მცირეა მისი დოზირება.

კომპანია ინვეტმა გამოგვიგზავნა მათ მიერ გამოყენებული ბუნებრივი და სინთეზური საღებავების დასახელებები, თუმცა კომპანიის თხოვნით კომერციული ინტერესის გათვალისწინებით, “რადიო თავისუფლება” არ აქვეყნებს გამოყენებული გამაყვითლებლების სამარკო დასახელებებს.